№ 71. 30 მარტი, პარასკევი. 1866—1884 30 მარტი, პარასკევი. № 71.

# დროება

«დროების» რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში რედაქციაშივე, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით—8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ. 50 კ.; 8 თვით—7 მან.; 7 თვით—6 მ.; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვ.—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ. ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

## შინაური ქრონიკა

ბ. მ. მ—ძე, რომლის «საქმენი საგმირონი», ახალ-სენაკის სასტუმროში, ნაამბობნი იყვნენ ორს ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ შენიშვნებში, ბძანებულა მ. მიქელაძე, როგორც მისგან ჩვენდამი წამოგზავნილი წერილიდამა სჩანს. ბ. მიქელაძე გვთხოვს დავბეჭდოთ მისი პასუხი, რომლითაც ვითომ თავს მართლულობს, ამტყუნებს ჩვენს კორესპონდენტს და თან უმატებს:

**«მე ცოტა ეჭვი მაქვს, რომ კორესპონდენტი უანგაროდ ვერ ილაპარაკებდა ჩემზედ, რადგანაც ერთხელ ეს ვაჟბატონი ხონის სასტუმროში მხოლოდ ბედნიერის შემთხვევით გადურჩა ჩემს მათრახებს.»**

რაც შეეხება თავის გამართლებას, მცირეოდენი საბუთიც რომ ყოფილიყო მოყვანილი წერილში, მაინც დავბეჭდავდით; მაგრამ თითონ ბ. მიქელაძისათვისაც და საზოგადოებისათვისაც ისა სჯობია, რომ მისი წერილი დაუბეჭდავი დარჩეს. ბ. მიქელაძისათვის—იმიტომ, რომ იგი წერილით ურწმუნოთაც კი დაარწმუნებს თავის საქციელზე, და საზოგადოებისათვის—იმიტომ, რომ არ არის კარგი ეს უსიამოვნო ამბავი კიდევ გავახსენოთ.

ბ. მიქელაძის პასუხიდამ ამოვიღეთ მხოლოდ ზემოდ ამოწერილი სიტყვები ჩვენის პროვინციის სახის გასაცნობად. ბ. მიქელაძე არამცთუ გულთა-მხილაობს და ცნობილობს კორესპონდენციის დამწერს, იგი იმასაც საქვეყნოდ აცხადებს, კორესპონდენტს იმიტომ დაუწერია ეგეები ჩემზედ, რომ ერთხელ ცემას ვუპირობდი და «მხოლოდ ბედნიერის შემთხვევით გადურჩა ჩემს მათრახებსაო».

ბ. მიქელაძე! მაგისთანა საქციელს მხოლოდ ღვინით შეზარხოშებულ ამხანაგების წრეში თუ დაიკვეხებენ, თორემ გაზეთის ფურცლებზედ «კრიტიკიობა» რა საკადრისია?

ჩვენს ქვეყანაში იმისთანა კარგი ბამბა მოდის, რომ შეუძლიან კონკურენცია გაუწიოს ამერიკისა და ეგვიპტის ბამბას, თუ კი მისი წარმოება გაუმჯობესდა. ამას წინად შევატყობინეთ ჩვენს მკითხველებს, რომ სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს განუზრახავს ამ წარმოების გაუმჯობესობაო. ამისათვის მასა სურს გაავრცელოს ხალხში საუკეთესო და კავკასიის ნიადაგის შესაფერი თესლი და შეაჩვიოს ბამბის მომყვანნი მის შემუშავებასა და გასუფთავებას. ამ აზრით, რუსული გაზეთების სიტყვით, სამინისტროს გამოუგზავნია ჩვენში სპეციალისტი ამ საქმისა ბ. სამოლევსკი, რომელმაც სამინისტროს მინდობილობით გაიცნო ბამბის საქმე ამერიკაში 1874 წელს და მასუკან განაგებდა საცდელ ბამბის ფერმას თურქესტანში. ბ. სამოლევსკის მინდობილი აქვს ხელმძღვანელობა გაუწიოს ბამბის შემუშავების საქმეს ამიერ კავკასიაში და ამას გარდა დაათესინოს სხვა-და-სხვა ბამბის თესლი მომავალ გაზაფხულზედ.

ამ დღეებში ქ. ბაქოში მომხდარა სამწუხარო ამბავი, რომლის მსხვერპლად შექმნილა ბ-ნი ლანდერი, გაგზავნილი ბაქოში თავის [illegible] რობის მინდობილობით. ერთს ვილაც უზომოდ ერთგულს პოლიციელს ეს კაცი ცნობილი დამნაშავე დეგაევი ჰგონებია, დაუტყვევებია აბანოში, სადაც ის წასულა შაბათს, და წაუყვანია პოლიციაში. იქ ამ კაცმა თავისი სახელი და გვარი გამოაცხადა, დაასახელა ბაქოს პორტის კომანდირი ადმირალი სვინკინი, კომანდირი პარახოდისა გეოკ-ტეპესი და სხვა პირნი, რომელთაც შეეძლოთ მისი პიროვნების შემოწმება. პოლიციამ პოლიციელებისავე თან მოყოლებით იგი გაგზავნეს ზოგიერთა მისგან დასახელებულ პირებთან და როცა დარწმუნდენ, რომ ის სულ სხვა კაცია, მხოლოდ მაშინ გაანთავისუფლეს. ამ გვარმა მიწყვეტ-მოწყვეტებამ ბ. ლანდერი, რომელსაც უსაქმო ხალხი თავს დაედო და პოლიციელი იასაულები თან დასდევდენ, ისე შეაწუხა, რომ ავად გახდა. (Юрид. Обоз.)

«კავკაზში» სწერია: «პრიკაზის ვალის გადახდა მარტო ქართველ თავად-აზნაურობას არ შეუმსუბუქეს; კავკასიის ადმინისტრაციამ იშუამდგომლა ფინანსთა მინისტრის წინაშე, რომ შეჩერებულ იქმნას ერთის [illegible]რით სოფლისა და ქალაქის მამულების გაყიდვა (თბილისში მდებარე მამულების გარდა, რადგან ამათ შესახებ აღძრულია ცალკე შუამდგომლობა), რომლებიც არ ეკუთვნიან ქართველ თავად-აზნაურობას იმ პირობით კი, რომ მსესხებელთ შეიტანონ ნახევარი მათზე დარჩენილის სარგებლისა. თუ ეს ნახევარი შეადგენს მეათედს მთელის ვალისას ანუ სესხისას; წინააღმდეგ შემთხვევაში მოეთხოვებათ ვაჭრობის მოსასპობლად მთელი ვალის 10% გადახდა.

---

## «დროების» ფელეტონი, 30 მარტი.

***

I

სინდისი—სიმართლის ტამარია,
უმისოდ კაცის გული მკვდარია;
მაგრამ აწ ხალხს იგი ვირზედ შეუსვამთ,
სიყალბე კი მაღლა თაროს დაუსვამთ.

II

აზრი წმინდა გონებას ასისგროვნებს,
უმეცრება სრულიად ხშობს, აბნელებს;
მაშ აწ აზრი რად არის დალაგმული,
უმეცრება კი აღვირ-აშვებული?

III

ვთხოულობდი—არავინ მიბრალებდა,
ვტიროდი და ყველანი დამცინოდნენ;
როს შიმშილი ცოდვას მაძლენინებდა
«ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ!» მსაჯულს უუბნებოდნენ.

გ. ციმაკურიძე.

### ზანგი-პასტორი

### ჯონ კრიდი

(ინგლისურიდამ.)

«მომავალს კვირას, ამ თვის თოთხმეტს, პატივცემული ჯონ კრიდი შოლტონ მალნის ეკლესიაში წარმოსთქვამს ქადაგებას იმ მისიონერების სასარგებლოდ, რომელნიც «ოქროს ნაპირისკენ» აფრიკაში უნდა გამგზავრდენ».

თუმცა, როგორც ხედავთ, ამ განცხადებაში უჩვეულებრივო არაფერი იყო, მაგრამ ამ ჩვეულებრივმა განცხადებამ კი ეტელბერი სულითა და გულით აღელვა. საქმე ის არის, რომ იმის დეიდას ემილიას ჩაეგონებინა მისთვის, რომ ქვეყანაზედ პატივისცემის და ყურადღების ღირსნი მხოლოდ ის მისიონერები არიან, რომელნიც უცხო ქვეყნებში მიდიანო. ამას გარდა, პატივცემული ჯონ კრიდი უბრალო მისიონერი არ იყო, იმის ისტორია ისეთი საყურადღებო იყო, რომ ეხლაც ბევრს მიიზიდავდა, როდესაც ველური ხალხის განათლებულს ხალხთან შედარება აღარავის გააკვირვებს.

— მხოლოდ კარგად იფიქრე,— ეუბნებოდა ეტელი თავის დეიდას, როდესაც ორივენი სკოლის კარებზედ გაკრულს განცხადებას კითხულობდნენ:—იგი ხომ ნამდვილი აფრიკანელი ზანგია, როგორც ვიკარი, მიამბო; იგი ბავშობითვე გამოერთმიათ ერთი ვაჭრისათვის, რომელიც «ოქროს ნაპირზედ» მონებით ვაჭრობდა და მოეყვანათ ინგლისში, სადაც მან განათლება მიიღო. იგი სწავლობდა ოქსფორდში და სწავლულობის ხარისხი მიიღო, ეხლა კი კვალად აფრიკაში მიდის, რომ თავის თანამემამულენი გაანათლოს; ოთხშაბათს ვიკართან სტუმრად მოვა.

— ჩემის აზრით,—სთქვა მოხუცმა ბიძია ჯემსმა, დეიდა ემილიას ძმამ, სამსახურიდამ გამოსულმა მენაოსნემ,—იმისათვის საუმჯობესო იქნება ინგლისში დარჩეს. მე უწინ მიელია ამ «ოქროს ნაპირზედ» ბზის ზეთის და სხვა ამ გვარი საგნების მოსატანად, და ჩემის აზრით, ზანგი ყოველთვის ზანგადვე დარჩება; ინგლისში იგი ცოტა განათლებული მაინც არის, აფრიკაში კი ველარ იქნება; მოიყვანეთ იგი ინგლისში და დიდ-კაცობა მიეცით; მერე გაგზავნეთ სამშობლოში და დაინახავთ, რომ იგი, თქვენდა უნებურად, ისევ ზანგად გადაიქცევა.

— ოხ, ჯემს!—მიუგო დეიდა ემილიამ,—როგორ ქადაგობ მაგისთანა არა ქრისტიანულს აზრებს და ან რადა ხარ მისიის წინააღმდეგი, როდესაც ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ქვეყანაზედ მცხოვრები ხალხები ყველანი ძმები ვართ.

— მეც თვითონ, როგორც ქრისტიანს შეშვენის, ყოველთვის ისე ვცხოვრობდი, ემილია!—მიუგო ბიძია ჯემსმა,—თუმცა მე დიდ ხანს მიმოგზაურია «ოქროს ნაპირზედ», სადაც ქრისტიანობა არა ჰყვავის; მაგრამ მე მგონია, რომ რაც უნდა ბევრი ეცადოთ, ზანგი მაინც ისევ ზანგად დარჩება. ეთიოპელი ისე ვერ გამოიცვლის თავის შავს კანს, როგორც ვეფხვი თავის აჭრელებულს ტყავს,—ბრძანებს სამღრთო წერილი და ზანგი სიკვდილამდის ზანგად დარჩება,—კარგად დაიხსომე, ემილია, ეს ჩემი სიტყვები.

ოთხშაბათს, დანიშნულს დროზედ, პატივცემული ჯონ კრიდი ვიკარის სახლში მივიდა და მთელი ერთი კვირის განმავალობაში სოფელს შოლტონ-მალნაში ცნობის-მოყვარება მეფობდა, რადგანაც ყველას უნდოდა ერთხელაც არის მაინც შეეხედათ ნახშირსავით შავი პასტორისათვის. მეორე დღეს, ხუთშაბათს, ეტელ-ბერის ცხოვრებაშიაც მოულოდნელი ცვლილება მოხდა: დილა ადრიან მან მიიღო წერილი, რომლითაც მას ვიკარის სახლში იწვევდენ. აქამდის, თუმცა თვით ვიკარი ხშირად იარებოდა ხოლმე დეიდა ემილიას სახლში და დიდის პატივისცემითაც იღებდა მის დახმარებას სკოლებისა და სასოფლო დღესასწავლებების გამართვის დროს, მაგრამ ბერის სახლობა კი იმისთანა სახლობას არ ეკუთვნოდა, როგორებსაც ეხლა ვიკარის სახლში იწვევდენ. ამ ხუთშაბათს ეტელის მიწვევის მიზეზნი ვიკ[არ]ი და «ოქროს ნაპირის» სახარების საზოგადოების სეკრეტარი იყვნენ.

ნებენ, რომ ეს შეუმდგომლობა შეწყნარებულია.

## ქართული გალობის გამო.

წერილი ქუთაისიდამ.

ბ. ქორიძემ თავის ხარჯით გამართა ქ. ქუთაისში ორი კონცერტი ქართულის გალობისა და ხალხურის სიმღერებისა. მე, როგორც მოყვარული ქართულის გალობისა, ორივეზედ დავესწარი და ჩემი აზრი მის შესახებ მსურს გამოვუცხადო ბეჭდვის საშუალებით ქართველთ საზოგადოებას.—

მე გაგონილი მქონდა, რომ ბ. ქორიძემ ქართული წ-ის წესი, ე. ი., საგალობელი და ზოგი სალხინო გალობა და სიმღერები ნოტებზედ გადიტანა და მღერიანო, მაგრამ რადგან ცოტა ოდენად გახსნილი მაქვს ამ საგანში სმენა, მე ეს სრულებით არ მჯეროდა; არა მჯეროდა განსაკუთრებით მისთვის, რომ ჩვენი გალობა და სიმღერები ისეთის დაწმაწნილის მიხვრა-მოხვრით და კილოთი არიან შედგენილნი, რომ ნოტებზედ იმათი უსულების ვარჯიში თუ შესაძლებელი იქნებოდა, არას დროს ვერ წარმოვიდგენდი; შემდეგ ესრეთის ჩემის იჭვნეულობისა, რასაკვირველია, უურადღებით დავუკვირდებოდი მათს მღერას, რომელმაც, ჩემდა სასიამოვნოდ, კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზედ. ერთის სიტყვით, უეცრად შემიცვალა ჩემი ეჭვები და დამარწმუნა სრულებით, რომ ყოველი ქართული გალობა და სიმღერები, რაც უნდა გაწმენდილი და გავარჯიშებული იყოს, უნაკლულოდ თურმე გადილება ნოტებზედ. იგალობეს ნამდვილის კილოთი, შეუცვლელად: 1., «მოვედით თაყვანის ვსცეთ», 2., «წმინდაო ღმერთო» 3., «ღირს არს ჭეშმარიტად», 4., «უფალო შეგვიწყალენ» და 5., «ისპოლა», ხოლო დანარჩენი «რომელი ქერაბინთა» იგალობეს მერვე ხმაზედ, «შენდამი იხარებს» კილოზედ, მაგრამ არ გამოვიდა კარგად. ეგრეთვე «განმანათლებელი» და «შენ გიგალობთ» არ გამოდიოდა მართალის კილოებით, რადგან მუხლები და უსულები გააგრძელეს. ხოლო, რაიცა შეეხება სახალხო სიმღერებს: «ხასან-ბეგური», «ხელ-ხვავია» და «დელიავდა» გვარიანად იმღერეს და დანარჩენები კი გასწორებას საჭიროებენ. ფორტეპიანოს უკრავდა დიაღ გამშვენებულად და გავარჯიშებულად, ისე მოქნილად, რომ თვით მგალობლებს ემღერნათ, მაშინ მშვენიერი რამ სასმენელი იქმნებოდა, მაგრამ მგალობლებს არც ხმის სიმაღლე ამლევდათ ნებას და არც თვით ხმები აქვთ ჯერ-ჯერობით შეჩვეული და დაქნილი ვარჯიშობისათვის. ბ. კიკნაველიძე კი სამაგალითო ხმის პატრონი არის. მეტად ვისმეს ექმნება იმისთანა სრული და სასმენელად ტკბილი ბანის ხმა, მაგრამ რადგან ევროპიულს სიმღერებზედ ჰქონია გაწვრთნილი ხმა, ჯერ კიდევ ვერ შეუჩვევია ჩვენს კილოზედ და როდესაც გაეჩვევა და გაეცნობა ქართულს გალობას, თვით თავით თვისით დაექნება ხმა ვარჯიშობაში ისე, რომ სწორედ დიდად სასიამოვნო იქნება მისის მღერისა და მჭუხარის ბანის მოსმენა.

ფორტეპიანოზედ მღერობენ ოთხნი პირნი და იწყებენ თითქმის ყველანი ერთისა და იმავე ხმებით. ქართული გალობა უნდა შესდგეს სამის პირისაგან: პირველი არის მთქმელი, მეორე მაღალბანი და მესამე ბანი. დაწყების რიგი ეკუთვნის მთქმელს და მაღალ ბანმა და ბანმა მიგნებულის ხმებით უნდა შეაწყონ დამწყებს.—შეიძლება ოთხმაც იგალობონ, მაგრამ ორი მათგანი ბანს უნდა ამბობდენ ერთ-ხმად ისე, რომ მსმენელის ყურში მათი ბანი განცალკევებულად არ უნდა ისმოდეს; თუ ორი ბანის მთქმელნი მიუთვისებელნი შეიქმნენ ხმებით, მაშინ გალობას თავისი შნო დაკარგული ექმნება.

არის ზოგიერთი ჭრელი საგალობლები, იმისთანა, რომელნიც, შეიძლება ხუთმაც იგალობონ, ასე რომ მთქმელს, მაღალ ბანსა და დიდს ბანს გარდა, მეოთხე იტყვის კრინსა და მეხუთე დვრინსა; ხუთზედ მომეტებულმა რიცხვმა თუ ერთად იგალობეს, მაშინ გალობას ქართული შნო და ხასიათი დაეკარგება, დამახინჯდება და მიემსგავსება ევროპიულს მუსიკალურს სიმღერებს. ხოლო ჩვენი ქართული სახალხო სიმღერები უნდა იმღერონ ექვსის რიცხვიდგან რვა პირმა და თუ რვაზედ აღემატენ რიცხვით მომღერლები, ისიც დამახინჯდება და დაუშნოვდება.

ეხლა დავუბრუნდეთ ბ. ქორიძის პატიოსანს შრომას. ავიღოთ მაგალითი: ერთმა ლამაზმა ქალმა და მეორე მახინჯმა მიმართეს მხატვარს თავიანთ სურათის გადასაღებად. მხატვარმა ლამაზი კი—ლამაზად გადიღო და მახინჯი—მახინჯად, ერთის სიტყვით, იმათი სახე ნამდვილად გარდახატა, ე. ი. კარგისა—კარგად და ცუდისა ცუდად. აქ მე მგონია, მხატვარი სრულებით მართალი რჩება და თუ რომელიმე უგუნური გაამტყუნებს იმაში, რომ რატომ ორივე ქალის სახე ლამაზად არ გადახატაო, ეს იქმნება დიდი შეცდომა და უმართლო საყვედური. ბ. ქორიძისათვის რომელი გალობაც კი შეუმცდარის და მართალის კილოთი უჩვენებიათ,—სრულებით შეუმცდარად და უნაკლოდ გადაუღია, და რომელიც გაფუჭებულის კილოთი უჩვენებიათ,—მაგაში უნდა გავამტყუნოთ მაჩვენებელი და არა ბ. ქორიძე.

ქართული გალობა გაქრება მაშინ, როცა ჩვენში ეხლანდელი მგალობლები დაიხოცებიან. ამას ბევრი დამტკიცება არ უჭირდება. მარტო ეს გარემოება არის საკმაო, რომ ისინი, რომელთაც გალობა იციან თავიანთ შვილებს აღარ ასწავლიან და აღარც ბავშვებსა აქვთ დრო და სურვილი გალობის სწავლისა. სამწუხაროდ, ჩვენდა, კერძო სასწავლებლებიც არ არის იმერეთსა და გურიაში ქართულის გალობისა. ეს თუ ასე არის, მაშასადამე, ბ. ქორიძე უდიდესის მადლობის ღირსი არის ჩვენის საზოგადოებისაგან. ეს კეთილი საქმე მან გარდა, სხვებს თავში არ მოსვლიათ და არ უფიქრიათ, და თუ უფიქრია ვისმეს, მაინც ის ფიქრი მარტო ფიქრად დაშთენილა და არა საქმედ; გალობის ნოტებზედ გადაღება იქნება საუკუნო ძვირფასი განძი ქართველობისათვის, რადგან ის დაცული და შენახული იქნება თვით ქართველის ხალხის დედა-მიწიდგან გაქრობამდის... მხოლოდ ამას ვიტყვი და კიდევაც ვურჩევ ბ. ქორიძეს, რომ რაც ეხლა გადაღებული აქვს ნო-

---

როდესაც ამ ორი კვირის წინად ეს ორი შესანიშნავნი მისიონერნი ექსტერ-ჰოლლეში შეხვდენ ერთმანეთს, სეკრეტარმა უთხრა ვიკარის, რომ რა კარგი იქნება, რომ ახალ-გაზდა ჯონ კრიდიმ აფრიკაში წასვლამდის ერთს ახალ-გაზდა ინგლისელს ქალზედ დაიწეროს ჯვარიო.

—ეს დაამკვიდრებს მას სარწმუნოებაზედ და დიდს შემწეობას გაგვიწევს «ოქროს ნაპირზედ»,—ეუბნებოდა იგი,—და ამასთანავე მას თავის თანა-მემამულეებზედ უფრო დიდი გავლენა ექნება.

ამაზედ ვიკარიმ უპასუხა, რომ სწორედ ამ საქმისათვის ერთს ქალს ვიცნობო, რომელიც ჩემს სამრევლოში სცხოვრობს და რომელსაც თვით განგებისაგან აქვს შთანერგილი უცხო ქვეყნების მისიონერების სიყვარული. ამ გვარად, ამ ორმა კეთილმა კაცმა გადასწყვიტეს მეტელი აფრიკაში გაეგზავნათ; ვიკარმაც ჯონ კრიდი განგებ მოიწვია შოლტონ-მალნაში, რომ იმ ქალისათვის გაეცნო.

ამ დღეს მეტელმა ჩაიცვა თავის საუკეთესო კაბა და თეთრი შლიაპა დაიხურა, რომელსაც გვერდზედ ორი ბუნებით თეთრი ყვავილი გაუკეთა და ამპარტავანი და ბედნიერი მეტელი ვიკართან სტუმრად წავიდა.

პატივცემულს ჯონ კრიდის ნამდვილ კლერიკალურად არ ეცვა, არამედ ეცვა ფლანელის ტანისამოსი და მხოლოდ თეთრი ყელსახვევი ამტკიცებდა, რომ მას პასტორობა ამ ცოტა ხანში მიეღო. ჯონ კრიდი საკმაოდ ლამაზი ზანგი იყო, რომელსაც თუმცა შავი, მაგრამ აფრიკანული პრტყელი პირისახე კი არა ჰქონდა; იმისი ახოვანი და მოყვანილი ტანი და ლამაზი სახე სრულიად უკარგავდა კაცს აზრს, რომ იგი ზანგის მოდგმის ხალხს ეკუთვნოდა. იმისი ხმა ისეთივე იყო, როგორც ოქსფორდის ყოველი სტუდენტისა,—ნაზი და სასიამოვნო, მიხვრა-მოხვრაც სრულიად განათლებულის კაცისა ჰქონდა. როდესაც იგი მეტელს ელაპარაკებოდა, ვიკარის ცოლი ყოველს ღონის-ძიებას ხმარობდა, რომ მათთვის ლაპარაკი არავის გაეწყვეტინებინა. ჯონ კრიდისთანა ლაპარაკი ამ ქალს ჯერ არ გაეგონა. იგი ელაპარაკებოდა ლონდონში და ოქსფორდში მომხდარს ამბებზედ; კაცებზედ და წიგნებზედ, რომელთა სახელებიც მას პირველად ესმოდა. ამ ლაპარაკის დროს მეტელმა მხოლოდ ორად ორი კაცის სახელი დაიხსომა: ერთი იყო მილი და მეორე არისტოტელი—და ამ კაცების სახელების დასწავლამ აფიქრებინა მას, რომ იგი გონებით უფრო მაღლა უნდა იდგეს, სინამ ეხლა სდგას. ამასთანავე ის მეგობრები, რომელნიც ჯონ კრიდიმ მოიხსენა, საზოგადოების საუკეთესო ნაწილს ეკუთვნოდენ. მასთან ერთად-ერთს სასწავლებელში სწავლობდა ნამდვილი ლორდი; ბარონის ახალგაზდა შვილს, რომლის მამულიც იქავე ახლოს იყო, იგი მეგობრულად «ბარინგტონს» უძახოდა და არა «ბატონს არტიურს»,—თვით ვიკარიც კი ვერ გაბედავდა ასე უბრალოდ იმის სახელის წარმოთქმას. ამასთანავე მეტელმა იცოდა, რომ იგი, რომელიც ეხლა მას პოეზიაზედ და რომანებზედ ელაპარაკებოდა, იყო განათლებული და ერთი საუკეთესო სტუდენტთაგანი ოქსფორდის უნივერსიტეტისა. სწორედ გითხრათ, ჯონ კრიდი, თუმცა შავის სახისა იყო, მაგრამ საწყალი მეტელი კი მიიზიდა, რადგანაც იგი უფრო ჰგავდა სწავლულს კაცს, სინამ სხვა ვინმე, რომლებთანაც მას დღევანდლამდის ლაპარაკი შეხვედროდა.

როდესაც მეტელმა აფრიკაზედ ლაპარაკი ჩამოაგდო, ყმაწვილმა პასტორმა, კვალად დაიწყო მჭევრ-მეტყველებით და აღტაცებით ლაპარაკი, იმას მრავალთა მიზეზთა გამო არ უნდოდა ინგლისს განშორებოდა, მაგრამ უხაროდა კი, რომ შეეძლო თავის საწყალი ძმებისათვის სარგებლობა მოეტანა. იგი აღტაცებით ლაპარაკობდა მისიონერობაზედ: ისეთის წრფელის გულით უნდოდა თავის ძმები ზანგებისათვის სარგებლობა მოეტანა, რომ მეტელმა უნებურად იფიქრა, რომ ეს რა კეთილშობილი კაცია, რომ თავის თავს თავის თანამემამულეთ სწირავსო! საზოგადოდ ამ დღეს იგი ვიკარის სახლიდამ ჯონ კრიდისაგან აღტაცებული წავიდა. მას არ უყვარდა იგი, რადგანაც ეროვნულს გრძნობას მათ შორის გაუვალი ხიდი გაედო, მაგრამ იგი მაინც აღტაცებული იყო ჯონ კრიდისაგან.

რაც შეეხება ჯონ კრიდის, იმის გულიც შეიპყრო მეტელმა. პირველად, იმას ყველა სხვა ინგლისელი ქალიც გაიტაცებდა, რომელიც კი მას ასეთს თანაგრძნობას გამოუცხადებდა, რადგანაც ჯონ კრიდიც, როგორც ყველა ზანგი, თავ-მოყვარე იყო და სტკბებოდა მით, რომ შეხვდა იმისთანა თეთრს ქალს, რომელიც მას ძალიან აფასებდა. მეორედ მეტელი მართლაც ლამაზი ქალი იყო და უბრალო ქცევა ჰქონდა; მეტელი არამცთუ პასტორს-ზანგს, არამედ სხვა მომეტებული სილამაზის მსურველს კაცსაც კი გაიტაცებდა. მარედ, რაც შეეხება ჯონ კრიდის, მან სრულის გულითა და სულით შეიყვარა მეტელი. მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჯონ კრიდი განათლებული კაცი იყო და მასაც ისეთივე გრძნობანი აღენთნენ ლამაზი ქალის დანახვაზედ, როგორი გრძნობანიც აღეგზნებოდენ ყველა სხვა ინგლისელს კაცსაც.

(შემდეგი იქნება)

ტებზედ, ჯერ არ უნდა დაბეჭდილიყოს. თუ საშუალება ნებას მისცემს ბ. ქორიძეს, მიმართოს იქ, სადაც აქამომდე რიგიანად შენახული არის ქართული გალობა და სიმღერები, მ. ი. გურიაში და იმერეთში, დაჭყოს იმ პირებთან ერთი თვე მაინც, რომ გაასწოროს და შეისწავლოს გალობა და სიმღერები და შემდეგ ამისა ნოტებიც დაბეჭდვინოს. თუ რომ ასე დარჩა, როგორც ეხლა არის შედგენილი, მაშინ ნაცვლად გადაკეთებისა, გადაფუჭება იქნება ამ ყოვლად დიდებულის საგნისა. იმედი მაქვს, თვითოეული ქართველი, რომელსაც ესმის და იცის გალობა და სიმღერები, არ დაიშურებენ თავიანთ შრომას და აღმოუჩენენ ბ. ქორიძეს ამ საქმეში ყოველ გვარს შემწეობას.

სულითა და გულით ვუნატრი ბ. ქორიძეს, რომ ესრედ დიდებული და წმინდა აზრი შეესრულებინოს და კეთილად დაეგვირგვინებინოს თავისი უზოგველის ღვაწლით და ქართველობის შემწეობით.

თ. სვიმონ გუგუნავა.

12 მარტს, 1884 წ.

## «დროების» კორესპონდენცია.

სოფ. ურიათუბანი, (კახეთი) 20 მარტს. ორი საგანი გახდა ახლა ხ ლხის სალაპარაკოდ ჩვენში. ერთი ის, რომ ს. ბურჯაანში ამ ცოტა ხანში მოჰკლა თ. ა. ა—შვილმა ერთი ვილაც მეფურგუნე და მეორედ კიდევ სახლების გადაწვა ჩვენს სოფელში.

ეს ორი წელიწადია, რაც ჩვენს ს. ურიათუბანში გაახშირეს შენობეზის ცეცხლის მოკიდება ავკაცობით. ჯერ შარშან, რამდენსამე გლეხ-კაცს გადუწვეს საბძლები; დავით ჭავჭავაძეს ზვარში დაუწვეს თივის ზვინები; თითონ აქაურ მ—ელს ჩ—ვს დაუწვეს საბძელი შიგ დამწვარი ცხენით. თუმცა ყველა ეს ამბები შეატყობინეს ბ. მაზრის უფროსს, მაგრამ მაინც ავაზაკები ვერ იპოვეს. წელს სოფელმა შენიშნა ექვსი კაცი სხვა-და-სხვა ავკაცობაში და ჩამოართვა მათ პირობა, რომ შემდეგში ცუდ საქმეში აღარ შანიშნულიყვნენ.

ამათ პირობის ჩამორთმევის შემდეგ, არ გასულა რამდენიმე დღე, 11 მარტს, შუაღამისას, ორ სახლს პეტრე და ზაქარო მახარობლიშვილებისას წაუკიდეს ცეცხლი; მასთან გადაწვეს ბიო მახარობლიშვილის საბძელიც. ცეცხლის მომკიდებელი მალე იპოვა სოფელმა. ეს არის რ—შვილი, რომელსაც წინა დღეებში ჩხუბი მოჰსვლია მახარობლიშვილებთან სახნავ-სათეს მიწებზე. ს. რ—შვილი დამუქრებია მათ და ახლა ჯავრი იმით ამოიყარა, რომ სახლები გადუწვა; კიდევაც უსირცხვილოდ მუქარობით გაიძახის: «თუ მე დამიჭერენ და დამკარგავენ, შვილოსა, ე ჩემი შვილები ხომ აქ დარჩებიან; ესენი უფრო უარესს გიზამენ»!

უნდა წარმოიდგინოთ ამ ორი გადამწვარი მოსახლეს მდგომარეობა. საწყლებმა არ იციან, დარდისაგან რა ქნან; სხედან, სტირიან და შესჩივიან სხვას თავიანთ უბედურობას. თუმცა მაზრის უფროსს კიდეც შეატყობინეს, მაგრამ ჯერ არავითარი გამოძიება არ მოუხდენია...

ქალაქ ადგილას საზღვეველად შეტანილი სახლი რომ გადიწვება, მზღვეველთ საზოგადოება სახლი-პატრონს გადუხდის ხოლმე სახლის ღირებულ ფასს, და ის ხელმეორედ გამოსჭიმავს ლაზათიან სახლსა. მაგრამ, რა ქნას საწყალმა გლეხმა კაცმა, რომელსაც ძლივს ვაი-ვაგლახით აუშენებია ფიცრული, თუ წნული სახლი, და ისიც რომ გადაეწვას, სად შეაფაროს თავი? როგორღა ააშენოს მალე ხელ-მეორედ სახლი? რადგანაც ამისთანა ზარალი ძლიერ საგრძნობელია ჩვენი გლეხებისთვის, ამიტომ იმედი გვაქვს, როგორც სოფელი, აგრეთვე ადმინისტრაციაც ხელს მოუწყობს და უშველის საწყალ დაზარალებულ გლეხს ხელ-მეორედ დაბინავებაში და ავაზაკებს კი ჯეროვანს სასჯელში მისცემენ.

თომა კახელი.

## უცხოეთი

— მეტად ცუდი ამბები მოდის გორდონზე ეგვიპტიდგან; ყოველისფრიდგან სჩანს, რომ ის მეტის-მეტად გაჭირვებულს და საშიშარს მდგომარეობაშია ამ უკანასკნელს დროს და როგორც პარიზში, აგრეთვე ლონდონშიაც ძლიერ შეწუხებულნი არიან იმის ამ გვარი მდგომარეობის გამო. ინგლისის მმართებლობა ძლიერ შეუფიქრიანებია გორდონზე უკანასკნელად მოსულს ამბებს და აღარ იცის, როგორ დაიხსნას იგი გაჭირვებისაგან. როგორც გაზეთებიდგან ვტყობულობთ, ლორდს გრანვილს და გლადსტონს ამ დღეებში დიდი თათბირი ჰქონიათ დედოფალთან იმაზედ, თუ როგორ უშველონ გორდონს, იმ გორდონს, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად მთელმა ევროპამ კინალამ კერპად აღიარა და რომელიც ცათამდის აჰყვანდა ქებით, როგორც სუდანის მხსნელი და როგორც დამცველი ინგლისის დიდებისა და პატიოსნებისა. ეხლა ეს გორდონი, თუ ვერწმუნებით გაზეთებში მოყვანილ ცნობებს, მომწყვდეულია ხართუმში, ბერბერის აქედ გზა სრულიად შეკრული აქვს და აჯანყებული სუდანელები თანდათან უფრო უახლოვდებიან ხართუმს მთლად თავიანთი ძალით. როგორცა ვთქვით, ინგლისი და ეგვიპტეც დიდს მზრუნველობაში ჩაცვივდენ გორდონის შესახებ. ამას წინად პარიზში გავრცელებულა ხმები, ვითომც გორდონი ტყვედ წაეყვანოთ აჯანყებულებს და სიკვდილით დაესაჯოთ. ერთის თვის წინად უმეტესი ნაწილი ინგლისის საზოგადოებისა და ჟურნალ-გაზეთებისა ამტკიცებდა, რომ მარტო ერთი ზნეობრივი ძალა გორდონისა, მარტო მისი ზნეობრივი მნიშვნელობა საკმაო არ არის, რომ უშიშრად და უვნებელად იყოს იგი ხართუმშიო. ეს თვით გორდონსაც შეუგნია და ამას წინად უთხოვნია ინგლისისთვის ჯარის მოშველება. თუმცა მმართებლობის ორგანები ბევრსა ცდილან დაეფარად ეს გარემოება საზოგადოებისათვის, მაგრამ ბოლოს მაინც გამჟღავნებულა და ყველას შეუტყვია საქმის ნამდვილი მდგომარეობა. მეტი გზა არ იყო, უნდა გაეგზავნათ ჯარი გორდონის მისაშველებლად, და გაგზავნეს კიდეც, მაგრამ ნილოსზე მას შეეტაკა აჯანყებულთა რაზმი და ასამდინ კაცი მოაკლო მას. პირველს შეხედვაზე ყველას ისე ეჩვენება, რომ ასი კაცის დაკლება თითქო დიდი არაფერია, მაგრამ თუ დავფიქრდებით, თუ კარგად წარმოვიდგენთ იმას, რომ ამ ბოლოს დროს გორდონზე ან სულ არაფერი ამბავი მოდის, ან თუ მოდის — ისეთი ამბები რომელნიც ამტკიცებენ, რომ მისი მდგომარეობა სუდანში მეტად საშიშია — მაშინ მიხვდებით, რომ ასის კაცის დაკლება ამისთანა დროს, სწორედ რომ საგრძნობელია. ლონდონის პოლიტიკურს წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ გრაჰამი უთუოდ უნდა მივიდეს ბერბერზედა, მაგრამ გაზეთი «ტაიმსი» ამტკიცებს, რომ ეს მისვლა მეტად ძნელია და ძვირადაც დაუჯდება ინგლისის ჯარსაო; გაზეთის აზრით, ამ საქმის სიძნელის მიზეზი თვით კაბინეტია და, მაშასადამე, თითონვე უნდა იყოს ამაში პასუხის-მგებელი და, რაც უნდა ძვირად დაუჯდეს, მისგანვე წამხდარი საქმე მანვე უნდა გაასწოროს. იგივე გაზეთი თითქმის ყოველ-დღე ჰკიცხავს მმართებლობას და თავის მოწინავე წერილებში უჩვენებს შეცდომებს, რომელნიც მან ჩაიდინა სუდანის შესახებ. გაზეთი ამბობს, რომ მრავალმა ინგლისის ოფიცრებმა განსწირეს თავი, ჩაირიცხნენ სუდანის ჯარში და გამბედავი გორდონიდგან მოყოლებული უკანასკნელ ოფიცრამდინ ყველამ განუსაზღვრელი ერთგულობა და სიყვარული დაუმტკიცეს ინგლისსაო. ინგლისს არც ფული და არც ხალხი აკლია; ყოველიფერში დამნაშავე მარტო მმართებლობა არისო; იმან არ იცის ეხლა, ხვალ როგორ მოიქცესო. ინგლისს რომ თითონვე არ აერ-დაერივა ეგვიპტეში საქმეები და ანარხია არ მოეხდინა, სუდანის ომი ასე საშინელი სახით არ მოხდებოდაო. ინგლისმა ეხლაც რომ მაგრად ჩაჰკიდოს ხელი მეწამული ზღვის ნაპირს და მდინარე ნილოსსა, მაშინაც საქმე კარგად წავაო. მმართებლობას თავის დღეში პირ-და-პირ არ შეუხედნია ფაქტებისათვის და საქმე ისე არ წარმოუდგენია საზოგადოებისთვს, როგორც ნამდვილად არისო. ეხლაც, თუმცა ინგლისს ისე არ გაუმარჯვნია სუდანში, როგორც სასურველია, მაგრამ კაბინეტი ყოველთვის ცდილობს მოატყუოს საზოგადოება; ამისათვის აზვიადებს იგი გამარჯვების მნიშვნელობას, თვითეული პატარა რაიმე გამარჯვების შემდეგ აცხადებს, რომ ომი გათავდა და ბძანებას სცემს — ჯარებმა სუაკიმისკენ დაიწიონო. გაზეთი ყველა ამ უბედურობათა მიზეზს ეგვიპტის საქმეების აწეწ-დაწეწას და მომავალს მისს გაკოტრებას აწერს. ეგვიპტეს აღარავითარი საშუალება არ დარჩენია; საჭიროა ახალი სესხი, მაგრამ იმას არავინ არ ენდობა, თუ ინგლისი თავდებად არ დაუდგება. საქმე ისეა დაყენებული, რომ გლადსტონი ან თითონ უნდა დაუდგეს თავდებად ეგვიპტეს რომელიმე სახელმწიფოს წინაშე და ვალი აალებინოს, ან არა და თვითონ უნდა იკისროს ეგვიპტის საქმეთა მართვა, დაეხმაროს ხელივს ეგვიპტის ფინანსების მდგომარეობას გასასწორებლად და ნელ-ნელა თავის ვალის გარდასახდელად. «ტაიმსის» სიტყვით, ამისათვის საჭიროა, რომ ეგვიპტე სრულიად ენდობოდეს ინგლისს. მაგრამ, როგორც იწერებიან პარიდგან, იქაური მოხელე პირნი გაბოროტებულნი არიან ინგლისის კაბინეტზე და ეწინააღმდეგებიან ყოველ გვარს ცვლილებათა შემოღებას. ამასთანავე, ეგვიპტეს მარტო ვალი არ აძევს ტვირთად; იმას ეხლა 700,000 გირვანქა სტერლინგი დეფიციტი აქვს და ამისათვის საჭიროა ეკონომია მოიხმაროს. მაგრამ იქ არის დაყენებული ინგლისის ჯარი წესიერების დასაცველად, და კიდევ ეგვიპტის ჯარიც, რომლის დანიშნულება არავინ არ უწყის. ამას გარდა, ეკვიპტეში არიან ინგლისის მოხელენი, რომელნიც ცდილობენ გააუმჯობესონ ხალხის კეთილ-დღეობა, მაგრამ ეგვიპტელებს ისე ეჯავრებათ ისინი, ისე ხელს უცარავენ ყოველს საქმეში, რომ სრულიად ვერაფერს აკეთებენ და არც არაფრის გაკეთება შეუძლიანთ. ეგვიპტის მოხელენიც არიან, რომელნიც აგრეთვე ყოველს ღონის-ძიებას ხმარობენ ხელი მოუშალონ ინგლისელებს ცვლილებათა შემოღებაში. შემდეგ გაზეთი «ტაიმსი» იწვევს მთელს ევროპას ეგვიპტის დასახმარებლად. ამ გაზეთის დაფარული აზრი ის არის, რომ ეს ქვეყანა ბოლოს მაინც და მაინც ინგლისს უნდა დარჩესო, სუეზის არხი, მეწამული ზღვის გაყოლება და, მაშასადამე, ინდოეთის გზაც ინგლისს უნდა ეპყრასო. მაგრამ მმართებლობის ორგანები და პოლიტიკური წრეები ყურადღებას არ აქცევენ ამ გაზეთის ლაპარაკს. მმართებლობის ლიბერალური ორგანები ამბობენ — გლადსტონი გრძნობს, რომ ინგლისს თავისი საკუთარი საქმე და საჭიროებაც ბევრი აქვსო და ამისთვის არა სცალიან, რომ ამისთანა გალატაკებული სახელმწიფოს, როგორიც არის ეგვიპტე, ვალი იმან იკისროსო. გლადსტონის აზრით, მმართებლობა საზოგადოების მოთხოვნილებას დაემორჩილა და სუდანის საქმეებს ძლიერ ბევრი ხალხი და ფული ამსხვერპლა. გლადსტონს ეხლა მარტო ის უნდა, რომ ინგლისს ეჭიროს მთელი მეწამული ზღვის გაყოლება, რომელიც საჭიროა ვაჭრობისთვის და

ინდოეთში თავისუფალი მისვლა-მოსვლისთვის. იმას უნდა გორდონიც დაიხსნას და მახდისთანაც მშვიდობიანად გაათავოს საქმე. გლადსტონს აბრალებენ, რომ იმან მოხერხებული ხრიკით გამოაცალა ხელიდგან ეგვიპტეს სუდანი, მაგრამ სუდანი, რომელიც აკლებულია აჯანყებულებისაგან და რომელშიაც იმოდენა ეგვიპტის და ინგლისის ჯარებია ჩაყენებული, მეტი ტვირთი იქნებოდა ისედაც გაღატაკებული ეგვიპტისთვის. გლადსტონს ეგვიპტის ფინანსების მდგომარეობა მოსვენებას თურმე არ აძლევს. თავიდათავი მევალე ეგვიპტისა არის საფრანგეთი და გლადსტონს საქმე ამ სახელმწიფოსთან ექმნება, თუ გაუგონებს ზოგიერთა გაზეთებს და ეგვიპტეს ინგლისის სამფლობელოთ შეუერთებს. თუმცა ეგვიპტე ნაყოფიერი ადგილია, მაგრამ იმოდენი ვალები აქვს, რომ ინგლისს დიდი-ძალი ფული მოუნდება ამ ვალების გასასტუმრებლად და ეხლა ის თვითონ იმისთანა მდგომარეობაშია, რომ ბევრი ფულის დახარჯვა არ შეუძლიან ეგვიპტის გულისათვის.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

28 მარტს.

პეტერბურგი. ხმებია, რომ იმავე დროს, როდესაც მემკვიდრე ცესარევიჩის სრულ-წლოვანობას გამოაცხადებენ, მისი უდიდესობისთვის შესდგება საკუთარი სასახლის შტატი და ამასთანავე გაუქმდება 1881 წელს გამოცემული რეგენტობის შესახებ კანონი. უმაღლესს სასახლეში მრავალს ბრწყინვალე დღესასწაულებს ამზადებენ. მოელიან უმაღლესს წყალობას, მაგ.: ოფიცრების და სამოქალაქო ჩინოვნიკების ჩინების მომატებას.

გუშინ გარდაიცვალნენ: ერთი უგულადესი სევასტოპოლის მცველთაგანი კონტრ-ადმირალი სარიჩევი და გამოჩენილი ეკონომისტი და ფინანსისტი ვერნადსკი.

ხარკოვი. პროკურორის ავადმყოფობის გამო ინტენდანტი ბუშენის საქმის გარჩევა შაბათამდინ გადიდვა.

ბუხარესტი. სამინისტრო იქნება ისევ დარჩეს თავის თანამდებობაზე, ამისათვის, რომ სენატმა ერთ-ხმად სთხოვა ბრატიანოს სამსახურიდამ დათხოვნის ქაღალდი არ შეიტანოს. დეპუტატთა პალატამაც გადასწყვიტა გაბინეტს ნდობა გამოუცხადოს.

კაირი. ხართუმიდამ ბერბერში მოსულმა დესპანმა ამბავი მოიტანა, რომ ხართუმში მილიციის ჯარები აჯანყდენ; მაგრამ ეს ამბავი ჯერ ოფიციალურად არ არის დამტკიცებული.

ბუხარესტი. ბრატიანოს სამინისტრომ თავის თხოვნა სამსახურიდამ დათხოვნაზე უკანვე გაიტანა, რადგანაც ორივე პალატამ ნდობა გამოუცხადა მას.

კონსტანტინოპოლი. პორტამ დაუთმო საბერძნეთის პატრიარხს და მისცა ისეთი ბარათი, როგორსაც პატრიარხი სთხოვდა. პატრიარხმა გარდასცა ბარათი საზოგადოების რჩევას, რომელსაც ურჩევს ზომიერება იხმარონ თავიანთ მოთხოვნილებაში.

29 მარტს.

პეტერბურგი. გამოცხადებულია უმაღლესად დამტკიცებული აზრი სახელმწიფო რჩევისა ბელორუსიის ნაბატონარ გლეხების მიერ მამულების შესყიდვის ფასის შემცირებისა.

«ს.-პეტერბურგის უწყებები» ამბობენ, რომ რუსეთის იმპერიის ყოველს ქალაქსა და მაზრაში, პოლშის სამეფოს და ფინლიანდიის გარდა, ცალკე დაწესებულება დაარსდება, რომელშიაც იქნებიან საერო გამგეობის წევრნი, ქალაქების საბჭოს ხმოსანნი და წარმომადგენელნი ადგილობრივი ადმინისტრაციისა. ხსენებულ დაწესებულებათ უნდა განაგონ სასმელების ვაჭრობის საქმეები და აგრეთვე დააწესონ რიცხვი სასმელების დუქნებისა ყოველ ნახევარ-წლის დასაწყისში. ამ დაწესებულებაში წევრებად შეიძლება მიღებულ იქმნან აგრეთვე ადგილობრივი მცხოვრებნიც, იმ პირობით კი, რომ ისინი სასმელების მოვაჭრენი, ან მწარმოებელნი არ იყვნენ.

პარიჟი. მუშების პირ შეკრულობამ ანსენში ჩრდილოეთ-საფრანგეთში საშიში ხასიათი მიიღო. ვინც მონაწილეობას არ იღებს ამ პირ-შეკრულობაში, იმათ თითქმის სიკვდილს ემუქრებიან. ზოგიერთთა სახლები დინამიტით აუფეთქებიათ, თუმცა ვნება არა მოუტანიათ.

## განცხადებანი

«ივერიის» რედაქციისაგან.

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს

თებერვლის წიგნი «ივერიისა», რომელიც თუმცა თებერვლის გასულსავე მზად იყო, მაგრამ სხვა-და-სხვა მიზეზების გამო დღევანდლამდე დაიკვიანა. შინაარსი წიგნისა შემდეგია: I. განკიცხული (შემდეგი) ა. მოხხუბარიძისა, II. მთავარ-ეპისკოპოსი იოსებ სამებელი და ქართული სტამბის საქმე მე-XVIII საუკუნეში, თ. ჟორდანიასი, III. სოფლისთვის თავ დადებული, ანუ რომელია სიმართლე? (თარგმანი) რ. გამსახურდია ს—ისა, IV ჩვენის გლეხ-კაცობის ისტორიიდამ (შენიშვნები ბატონ-ყმობაზედ) ნიკო ხიზანიშვილისა, V. სავულის-ხმიეროდ (გაზეთებიდამ) I წარსულის მოგონებათაგან. მკვლელობა 1857 წელსა ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის თავადის გაგარინისა, იმის ჩინოვნიკის ილინისა და პორუჩიკის არდიშვილისა—სვანეთის მფლობელის თავად კონსტანტინე დადიშკელიანისაგან. სტატია ა. შჩერბაკოვისა, II. გენერალ ფადეევის აზრი ქართველობაზე, VI. მოგითხრა, (შეთვლილი დედასთან ქ. კრევნიდგან მეფე თეიმურაზის დროს) ლექსი, თ. რ. ერისთავისა, VII, ბიბლიოგრაფია, პედაგოგიური ჟურნალი «ნობათი» № 1, 1884 წ. სტ. ჭრ—შვილისა, VIII განცხადება.

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთიდგან და ორის საწოლი 14 მანეთიდგან, მათი ლეიბები, ზღვის ბალახით გატენილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრიტანიის მეტალის ნივთები, ჩაიდნები, საგარაქე, საშაქრე, ჩაისა და სტოლის კოვზები ჩანგლებითა, ფაიფორის, დასადგმელი, პირის-საბანი, სტაქნები, სუფრაგნიკი, საწყაოსები, რიუმკები, გრაფინკები, საქაშური თეფშები, ბლუდები, სასალათეები, ტაშტები, სარძევეები, სამარილეები, გარჩიცის საფხეკები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანისამოსის დასაკიდებლები, საბალო მაგრატლები, გაქსები, უთოები, წისქვილები, ხურხები, ქლიბები, კლიტეები, ინგლისის თოფები და რევოლვერები, პიჟები, ზარიადები, კაპსიულები, ხაფანგები, ნიჩბები, ვატერპრუფები, საზნები, ჩულქები, წინდები, სუფრები, სალფეტკებისათვის რგოლები, ქმალიანი ჭურჭელი, მურაბები, კამფეტები, პიკულები, სოუსები, ზღვის ბალახი, დიმიტონები და სხ. ინგლისურს მაღაზიებში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს ყურადღება მიაქციეთ. (100—91)

## ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
| --- | --- |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— „ |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— „ | — — 3— „ |

იქვე იყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრავოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ უველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—6)

## სტამბა

ევთიმე ივ. ხელაძისა.

თბილისში, დორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის ეკლესიის შენობაში.

იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ჟურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სჩოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.

სისუფთავეზე და აღნიშნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.

სტამბა კისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაკაზის მომცემნი ისურვებენ.

მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.

Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—43)

Дозв. ценз. Тифлисъ, 29 Марта 1884 г. (ექ. ხელაძის სტამბა) Типографія Е. Хеладзе). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.